

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთია მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

მწვანე ეკონომიკის დილემა

მწვანე ეკონომიკა თუ მწვანე ზრდა

2008 წლის ფინანსური და გარემოსდაცვითი კრიზისის ფონზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ „ახალი გლობალური მწვანე შეთანხმება“ (GGND)¹ წარმოადგინა, რომელსაც მსოფლიოში არსებული ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და განვითარების გამოწვევებისთვის უნდა ეპასუხა. მდგრადი განვითარების კონცეფციის მსგავსად, მწვანე ეკონომიკა დეკლარირებულ მიზნად მიიჩნევს სოციალური სამართლიანობის (ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის, თაობებსა, და გენდერს შორის), ცხოვრების მაღალი ხარისხისა და ძირითად სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და სიღარიბის აღმოფხვრას ინკლუზიური, გამჭვირვალე, დემოკრატიული და მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების გზით.

2009 წელს ეუთოს ქვეყნების მიერ მიღებული მწვანე ზრდის სტრატეგია² მწვანე ეკონომიკის ქვაკუთხედს ეყრდნობა – დაბალემისიური განვითარება, ნარჩენების და ბუნებრივი რესურსების არაეფექტური გამოყენების მინიმინაცია, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, მდგრადი და უფრო სუფთა ენერგოწყაროების ათვისება.

ინდუსტრიალიზაციის „გამწვანება“

მწვანე ეკონომიკა და მწვანე ზრდა მთავრობებმა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა ურთიერთჩანაცვლებად კონცეფციებად აღიქვეს. არცერთი მათგანი ეჭვქვეშ არ აყენებს საბაზრო კონკურენციის, ლიბერალიზაციისა და სტრუქტურული გარდაქმნების აუცილებლობას. მეტიც, მათ მწვანე ზრდის წინაპირობად განიხილავს. შესაბამისად, განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების (მთავრობების) ნაწილმა ეს კონცეფცია საკმაოდ პრაგმატულად გაითავისა ინდუსტრიალიზაციის „გამწვანების“

1 გლობალური მწვანე ახალი შეთანხმება“, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა, 2009 წ., მარტი (www.unep.org/pdf/A_Global_Green_New_Deal_Policy_Brief.pdf).

2 Declaration on Green Growth Adopted at the Meeting of the Council at Ministerial Level on 25 June 2009 [C/MIN(2009)5/ADD1/FINAL], <http://www.oecd.org/env/44077822.pdf>

გზად. მწვანე ზრდის წარმატებულ მაგალითებად შეგვიძლია განვიხილოთ სამხრეთი კორეა, ჩინეთი და სხვ.

გარემოსდაცვითი კრიზისის ფონზე, მწვანე ეკონომიკამ წარმოაჩინა ახალი ნიშა ეკონომიკური მოგებისთვის, დაამატა რა წარმოებისა და მოხმარების ზრდის ტრადიციულ გზებს (Business as usual) ადამიანისა (შრომის) და მიწის კომოდიფიკაციას, ბუნებისა და ბუნებრივი ეკოლოგიური (წყლის, ტყის, რესურსების) სერვისების, მისი დეგრადაციისა და დაბინძურების

კომოდიფიკაცია. ეკოსისტემების სერვისები, ბუნებრივი პროცესებია, როგორცაა ჰაერისა და წყლის გაწმენდა, ნარჩენების დაშლა, მცენარეების დამტვერვა და ა.შ. მწვანე ეკონომიკაში, მოხდა ამ ეკოსისტემური სერვისების განცალკევება (მაგ. ტყეების ეკოსისტემურ სერვისები შესაძლებელია დაიყოს როგორც მერქნული და არამერქნული მასალების მიწოდება, კლიმატის რეგულირება, დაბინძურების კონტროლი, ეროზიის კონტროლი, ნიადაგის დაცვა, ბიომრავალფეროვნების დაცვა, წყლის რეგულაცია და მიწოდება, და ა.შ.) და რაც მთავარია, ამ თითოეული სერვისის გასაქონლება და მისთვის ფასის დადება. მაგ. ტყეების კლიმატის რეგულირების სერვისის ფასი განისაზღვრა დაახლოებით 3.7 ტრილიონ აშშ დოლარად წელიწადში, ხოლო ფუტკრების მიერ ყვავილების დამტვერვის სერვისი 200 მლნ აშშ დოლარად წელიწადში³.

ბოლო წლებში, კლასიკური ინდუსტრიალიზაციის პროცესი, გლობალიზაციისა და გლობალურად გაშლილი მოწოდება-მოხმარების ქსელების შედეგად, კიდევ უფრო გართულდა. წაიშალა საზღვრები სექტორებს (ინდუსტრია, მანუფაქტურა, სერვისები) შორის, რამაც მოითხოვა უფრო მეტი ცოდნა და უნარები სექტორს შიგნით პროდუქტიულობის ზრდისა და შედარებითი უპირატესობის მოსაპოვებლად.

მწვანე ეკონომიკა მოითხოვს, შესაბამის სექტორში, ეკონომიკურ ზრდას, ბუნებრივ რესურსებსა და გარემოსდაცვით ზემოქმედებას შორის არსებული დამოკიდებულებების მოშლას (decoupling). ქვეყნის ინდუსტრიულმა პოლიტიკამ უნდა წახალისოს რესურსების ნაკლები მოხმარება და/ან გარემოსდაცვითი ზემოქმედების შემცირება. მაგალითად, თუ ქვეყანა წყლის რესურსის სიმცირეს განიცდის, მთავრობამ შესაძლებელია წახალისოს ამ რესურსზე ნაკლებად დამოკიდებული სექტორების განვითარება (ელექტრონიკა, ბიოტექნოლოგია, ფარმაცია) ან მოითხოვოს დახურული ციკლების არსებობა, წვეთოვანი სისტემების დაწესება და ა.შ.

შესაბამისად, მწვანე ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, თუ რა ტიპის სტრუქტურულ ტრანსფორმაციას აირჩევს ქვეყანა, ასევე, მის ხელთ არსებულ ტექნოლოგიურ პროგრესსა და რესურსების გამოყენების ეფექტურობაზე, რა მოთხოვნები აქვს შესასრულებელი საერთაშორისო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის კუთხით. და, რაც მთავარია, როგორ ეკონომიკურ სტიმულირებას (ინსენტივებს) შექმნის ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პოლიტიკა და ინსტიტუტები მწვანე ზრდის წახალისებისათვის. მაგალითად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯების განვითარების შედეგად, სრულიად უნდა მოიშალოს დამოკიდებულება CO2 ემისიებსა და მშპ-ს შორის.

3 The Economics of Ecosystems and Biodiversity Initiative (TEEB), 2010

თუმცა, ხაზგასასმელია, რომ ენერგო- და რესურსეფექტურობა სრულიადაც არ ნიშნავს ნაკლები ენერჯის მოხმარებას ან ნაკლები რესურსის ათვისებას. ორივე წარმოების ეფექტიანობის და პროდუქციის ზრდას უწყობს ხელს, ანუ პრაქტიკულად ვიღებთ მწვანე კაპიტალიზმს.

ცალსახაა, რომ მწვანე ეკონომიკას გააჩნია გარკვეული პოტენციური ქვეყნებში მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, რაც პოზიტიურად აისახება გარემოსა და სოციალურად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის, მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის პრედეტერმინირებული ხედვა, რომ მხოლოდ ლიბერალიზაციამ და ბაზარმა შეიძლება მიგვიყვანოს დაბალემისიურ განვითარებამდე, ხელს უშლის ამ პოტენციალის ნაწილობრივ გამოყენებასაც კი⁴.

ამასთან, ევროკავშირი და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები გვთავაზობენ უფრო მეტ ფინანსურ ინსტრუმენტს მწვანე ეკონომიკაში კერძო სექტორის როლის მნიშვნელოვანი ზრდისთვის.

ამგვარ ინსტრუმენტებს შორისაა ე.წ. blending (როდესაც ეუთოს ქვეყნების ოფიციალური სახელმწიფო დახმარების შერევა ხდება კერძო ან საერთაშორისო საფინანსო ბანკების დაფინანსებასთან), სახელმწიფო გარანტიები, საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმები. განვითარებად ქვეყნებში მსგავსი დაფინანსების სქემები მოდის არა მხოლოდ ტრადიციული ბრეტონ- ვუდსის ინსტიტუტებისგან და დონორი ქვეყნებისგან, არამედ ასევე ახალი ინდუსტრიული ქვეყნებისგან და მათი ინსტიტუციებისგან (BRICS, AIIB და სხვები).

ამასთან, მწვანე კაპიტალიზმი დაბალემისიური განვითარების მისაღწევად უკვე აქტიურად იყენებს ისეთ საბაზრო მექანიზმებს, როგორებიცაა, მაგალითად, ემისიებით ვაჭრობა, სუფთა განვითარების მექანიზმები და ა.შ.

მწვანე სამუშაო ადგილები

2008 წელს, მწვანე ახალი შეთანხმების ფარგლებში, საერთაშორისო პროფკავშირების კონფედერაციამ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით, მწვანე სამუშაო ადგილების სტრატეგიის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია დაიწყო. სტრატეგიის მიზანი მწვანე ეკონომიკის უფრო სოციალ-დემოკრატიული ვერსიის შემოთავაზებაა. ის ემყარება პროფკავშირების ტრადიციულ მოთხოვნებს-შრომითი უფლებების დაცვას, ღირსეულ სამუშაოს, სამართლიანობაზე დაფუძნებულ ტრანზიციას (just transition)⁵, სამუშაო ადგილებზე კონცენტრირებულ ზრდას და მთავრობისა და საჯარო სექტორის მხარდ როლს ეკონომიკაში. ამ მხრივ საინტერესოა ე.წ. სამართლიანი ტრანზიციის (just transition) მაგალითები ევროპის სხვადასხვა რეგიონიდან, სადაც ეკონომიკა და მოსახლეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იქ არსებულ დამაბინძურებელ ინდუსტრიაზე (ქვანახშირის მოპოვება, მძიმე მრეწველობა და სხვ). პროცესის მიზანია რეგიონის განვითარების ალტერნატიული გეგმის შემუშავება, წარმოებაში დასაქმებული ადამიანებისა და

4 Knight, Daniel, M., The green economy as a sustainable alternative? <https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/1467-8322.12382>

5 Just Transition – პროფკავშირული მოძრაობის მიერ შემუშავებული კონცეფციაა, იგი მოიცავს იმ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც უნდა განხორციელდეს სამუშაო ადგილების შენარჩუნებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის, როდესაც ეკონომიკები იწყებენ გადასვლას მდგრადი წარმოებისკენ (რაც მოიცავს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლას, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ომების დასრულებას და სხვა).

ადგილობრივი მცხოვრებლების უშუალო ჩართულობით, ასევე, მდგრადი განვითარებისთვის ინვესტიციების მოზიდვა. ამასთან, ყურადღება ექცევა ყველა სხვა კომპონენტს (ინფრასტრუქტურა, განათლება, გადასახადები, საჯარო და სოციალური პოლიტიკები, მონაწილეობა), რასაც შესაძლებელია რეგიონის მომავალზე ხანგრძლივადიანი ეფექტი ჰქონდეს. ამ გეგმის მომზადებასა და განხორციელებაში ჩართული არიან ადგილობრივი პროფკავშირები, დასაქმებულები, მოსახლეობა, არასამთავრობოები და სხვა. „სამართლიანი ტრანზიციის“ წარმატებული მაგალითია გერმანიის რამდენიმე რეგიონი, სადაც მადარობის დახურვის პროცესის პარალელურად, განვითარდა ტექნოლოგიების წარმოება, ჩამოყალიბდა ახალი სასწავლო ცენტრები, გაიზარდა ტურიზმი და ა.შ. პროცესი საკმაოდ წარმატებულად იკიდებს ფეხს ბალკანეთში, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში.

Biodiversity offsetting – ბიომრავალფეროვნების ოფსეტინგი

მწვანე ეკონომიკის ლოგიკით, ტრადიციულ ეკონომიკაში, გარემოს დეგრადაციის მთავარი მიზეზი იყო ის რომ მთავრობები და კორპორაციები ვერ აცნობიერებდნენ გარემოსა და ბუნების რეალურ ეკონომიკურ ღირებულებას. შესაბამისად, ბუნების სერვისებისა და დაბინძურების კომოდიფიკაციისა და ჭეშმარიტი ფასის დადგენის შედეგად, გადაწყვეტილების მიმღებნი ბუნებისა და მისი სერვისების რეალური (ეკონომიკური) ღირებულების დანახვას შეძლებენ და მათი დაცვით დაინტერესდებიან. ეს კი, თავის მხრივ, გამოიხატება ან უფრო რესურსეფექტური, დამზოგავი, ნაკლებად დამაბინძურებელი ინოვაციური ტექნოლოგიის გამოყენებაში, ან ბუნების კონსერვაციის პროექტებში ინვესტიციების მოზიდვით.

მწვანე ეკონომიკის ლოგიკით, როდესაც მწარმოებელი აცნობიერებს, თუ რა ეკონომიურ სარგებელს აძლევს ესა თუ ის ბუნებრივი სერვისი, ის ბუნებას აღარ გაანადგურებს. მწვანე ეკონომიკაში ბუნების არსებობის გამართლება ხდება სწორედ იმ სარგებლის გამო, რასაც ის ამ მეწარმეს თუ გადაწყვეტილების მიმღებს აწვდის. ამასთან, მიღებულია, რომ ეს სერვისები შესაძლებელია განხილულ იქნას იზოლირებულად, ან ჩანაცვლდეს და/ან ფასი დაედოს და კომპენსირდეს. ზოგ შემთხვევაში მსგავსმა მიდგომამ შესაძლოა იმუშაოს, თუმცა იგი თავისთავად პრობლემატური და უმეტესად უშედეგოა.

ჩნდება კითხვა, რამდენად იყო ტრადიციული ეკონომიკის მთავარი პრობლემა ის, რომ მთავრობამ და მწარმოებელმა არ იცოდნენ, რომ ბიომრავალფეროვნებას ანადგურებდნენ, ადგილობრივი თემების საბინადრო პირობებსა და შემოსავლებს სპობდნენ, და ა.შ.? ამასთან, საკითხავია, რამდენად სწორად ფასდება ამა თუ იმ ეკოლოგიური სერვისის ღირებულება, ანდა რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ დაბალი ეკონომიკური ღირებულების ტერიტორია ადგილობრივი თემებისთვის კულტურულ ან რელიგიურ ფასეულობას წარმოადგენს? რამდენად მართებულია, ვივარაუდოთ, რომ სათანადო ინფორმირების შემთხვევაში, ისინი ეკოსისტემური სერვისებისა და დაბინძურების სრულ კომპენსირებას უზრუნველყოფენ?

მაგალითად, კომპანია „მწვანე ოქროს“ უნდა ოქროს მოპოვება ტყით დაფარული ტერიტორიიდან, რომელიც გადაშენების მქონე სახეობებისთვის საცხოვრებელი გარემო და, ამავდროულად, ადგილობრივი თემისთვის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა. ჩვეულებრივ, კანონი მსგავს

ტერიტორიაზე მოპოვებით საქმიანობას კრძალავს. მაგრამ, მწვანე ეკონომიკის პირობებში, კომპანია „მწვანე ოქროს“ მთავრობა იმ შემთხვევაში მისცემს ნებართვას, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი კი – კრედიტს, თუ იგი აიღებს ვალდებულებას, დაიცვას სხვა მსგავსი ტყე ან შექმნას საბინადრო გარემო რომელიმე სახეობისთვის.

ჩვენს მეზობელ სომხეთში, ამულსარის მთაზე (წარმოადგენს მნიშვნელოვან საბინადრო გარემოს ფლორისა და ფაუნის მრავალი სახეობისთვის) ოქროს ამოდების სანაცვლოდ, კომპანიამ ეროვნული პარკის დაფინანსების ვალდებულება აიღო. თუმცა ეს პარკი ვერ იქნება საბინადრო გარემო ამულსარის მთაზე არსებულ სახეობათა უმეტესობისთვის. მსგავს შემთხვევას ვაწყდებით საქართველოშიც, ყაზბეგის დაცული ტერიტორიის ფარგლებში დარიალ ჰესის მშენებლობის დაშვებისას. კომპანიამ, კანონის ცვლილების საპასუხოდ, ახალი დაცული ტერიტორიების შექმნისა და ტყის გაშენების ვალდებულება იკისრა, სინამდვილეში კი, არც ახალი ბუნებრივი ძეგლების შექმნაში ჩართულა და არც ტყე გაუშენებია⁶. თუმცა, ორივე შემთხვევაში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა კრედიტი გამოყო და ბიომრავალფეროვნების offsetting-ში კომპანიების წარმატებულ საქმიანობას გაუსვა ხაზი.

ინოვაცია და მწვანე ეკონომიკა

თუ ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციისა და ინოვაციის ტალღებს შევხედავთ, დავინახავთ, რომ 1990 იანი წლებიდან, ინდუსტრიული განვითარება კლასიკური პროდუქტის წარმოება აღარაა და საინფორმაციო და ბიოტექნოლოგიების, პროგრამული ინოვაციების განვითარებისკენ გადაინაცვლა. მრავალი პროგნოზით, ინდუსტრიული რევოლუცია 2020-2050 წლებში დაეყრდნობა – ხელოვნური ინტელექტისა და რობოტიზაციის, რადიკალური რესურსეფექტურობის, სისტემების დიზაინის, ბიომიმიკრიის, მწვანე ქიმიის, ინდუსტრიული ეკოლოგიისა და ნანოტექნოლოგიების განვითარებას.

სავალუტო ფონდის კვლევით⁷, ავტომატიზაცია კარგია ეკონომიკური ზრდისთვის და ცუდია თანასწორობისთვის. მოდელირებით ნაჩვენებია, რომ რეალური შემოსავლები ხანმოკლე პერიოდში დაიკლებს და მართალია, ხანგრძლივადიან პერიოდში შეიძლება საბოლოოდ გაიზარდოს, მაგრამ ეს რამდენიმე თაობის ცვლის შემდეგ მოხდება. ამასთან, თუ კვალიფიციური მუშახელის შემოსავლები 56-დან 157%-მდე გაიზრდება, დაბალკვალიფიციური მუშახელის შემოსავლები 26-დან 56%-მდე დაეცემა. სავალუტო ფონდი გვთავაზობს ორ გამოსავალს – განათლებაში ინვესტირებას და გადასახადების დაწესებას. მათი მართებულობა ცალკე მსჯელობის საგანია.

თუმცა, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ შემოსავლების კლების ფონზე, ყოველთვის იზრდება ზეწოლა გარემოსა და ბუნებრივ რესურსებზე. სწორედ ამიტომ, მწვანე ეკონომიკის ჩამოკიდება მხოლოდ ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, მოხმარების შემცირებისა და ეკოლოგიური ლიმიტების გააზრების გარეშე, მდგრადობას თავისთავად გამორიცხავს.

⁶ ენერგოპროექტები და კორუფცია საქართველოში, მწვანე ალტერნატივა.

⁷ <http://www.imf.org/en/Publications/WP/Issues/2018/05/21/Should-We-Fear-the-Robot-Revolution-The-Correct-Answer-is-Yes-44923>

დასკვნის სახით

მნიშვნელოვანია სიღრმისეულად შესწავლა სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა, რომლებიც შეიძლება მწვანე ეკონომიკის პრინციპულ ალტერნატივებად მოგვევლინონ. მაგალითად, ისეთი მაკროეკონომიკური პროგრამები, როგორცაა ბიორეგიონული ეკონომიკის მოდელები⁸, ან კონკრეტულ სექტორებში მიმდინარე პროცესები – ენერგეტიკული ტრანზიცია გერმანიაში, წყლით მომარაგებისა თუ სხვა ძირითადი სერვისების დაბრუნება მუნიციპალიტეტებისთვის (ესპანეთში, გერმანიაში და ა.შ.).

მართალია, ბევრმა სოციალურმა მოძრაობამ, როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში, „მწვანე ზრდის“ ჩარჩო უარყო და სოციალური და გარემოსდაცვითი სიკეთეების და სამართლიანობის მისაღწევად უფრო რადიკალური პოლიტიკა მოითხოვა, ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი, თუ როგორი უნდა იყოს ამგვარი პოლიტიკა თუნდაც თეორიულ დონეზე⁹.

აკადემიურ და პოლიტიკურ სივრცეში ამ მიდგომის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ წარმოდგენელია კაპიტალიზმის დროს დაგროვებული სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრობლემების – მათ შორის, მიწისა და რესურსების განადგურებისა და კლიმატის ცვლილების – გადაჭრა კაპიტალიზმის მოდიფიცირებით. მწვანე ეკონომიკის მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ

„პრაქტიკულად განხორციელებად პოსტკაპიტალისტურ და პოსტდაგროვებით ეკოლოგიურ ეკონომიკაში, რომელიც იმართება ხალხის მიერ, ხალხისთვის და სადაც წამმართველია წარმოება საჭიროებისთვის და არა მოგებისთვის (Smith, R. (2010¹⁰)).

გამოყენებული ლიტერატურა

- Lohmann, Larry. 2016. What is Green in Green Growth, <http://www.thecornerhouse.org.uk/resource/what-green-green-growth>
- Kenisa, Anneleen and Lievens, Matthias. Greening the economy or economizing the green project? When environmental concerns are turned into a means to save the market,
- <https://lirias2repo.kuleuven.be/bitstream/handle/123456789/433021/Kenis+&+Lievens+-+2014+-+Greening+the+economy+or+economizing+the+green+project+-+pre-print.pdf;jsessionid=E6A715ED7F1C540DD7A7CA59E585E4DD?sequence=2>
- Eighth Steps for a Just Transition, Just transition Resources Web Portal, <https://bankwatch.org/just-transition>.
- Sweeney, Sean. Green Capitalism won't work, <http://unionsforenergydemocracy.org/wp-content/uploads/2015/08/New-Labor-Forum-2015-Sweeney-12-7.pdf>

⁸ <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.843.4767&rep=rep1&type=pdf>

⁹ <http://unionsforenergydemocracy.org/wp-content/uploads/2015/08/New-Labor-Forum-2015-Sweeney-12-7.pdf>

¹⁰ „Beyond Growth or Beyond Capitalism?“, Real-World Economics Review 53: 28-42.



დოკუმენტი მომზადებულია მწვანე ალტერნატივას, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროსთან თანამშრომლობით, მწვანე აკადემიის პროექტის ფარგლებში.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა და ის არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს შეხედულებებს

ავტორი: მანანა ქოჩლაძე

© მწვანე ალტერნატივა, 2019

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#39ბ, IV სართ.
ტელ: (995 32) 222 38 74;
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG